თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის

სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

დამწყები[1] სოციალური საწარმოს იდეების საგრანტო კონკურსი

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც 1995 წელს დაფუძნდა. მისი მისია საქართველოში საზოგადოების კეთილდღეობისათვის, კარგი მმართველობის, მდგრადი, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობაა.

ორგანიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით, სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნესისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობის გზით.

ჩვენ პატივს ვცემთ თანასწორობას, ადამიანის ღირსებას და გვჯერა, რომ მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, ურთიერთთანამშრომლობა და სოლიდარობა ქვეყნის განვითარების წინაპირობაა.

სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) პროგრამული პრიორიტეტია 2009 წლიდან. პროგრამის მიზანია საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცენტრი დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისთვის მართავს ტრენინგებსა და კონსულტაციებს. დამწყები და მოქმედი სოციალური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით აცხადებს საგრანტო კონკურსებს, ხოლო გამარჯვებულ ორგანიზაციებს საქმიანობის პროცესში ორგანიზაციულ, ფინანსურ, მარკეტინგულ და საკანონმდებლო საკითხებზე უწევს ინტენსიურ კონსულტაციებს.

ორგანიზაციის შესახებ სრული ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს: CSRDG

2. ინფორმაცია პროექტის შესახებ

2021 წლის იანვარში, ევროკომისიის გენერალური დირექტორატის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში (DG NEAR) ფინანსური მხარდაჭერით და

[1] კონკურსი გათვლილია სასტარტო (Start-up) ეტაპზე მყოფი და ახალი სოციალური საწარმოებისთვის.

„Impact Europe“-თან პარტნიორობით დაიწყო 56 თვიანი საერთაშორისო პროექტი სახელწოდებით “თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. (Collaborate for Impact - development of social entrepreneurship and social investments towards economic and social cohesion in the Eastern Partnership)“, რომელსაც საქართველოში ახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG). პროექტის წამყვანი განმახორციელებელი ორგანიზაციაა „Impact Europe“, ხოლო პარტნიორები: SILab Ukraine, EduHub, Ecovisio და Impact Hub Yerevan.

პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკოსისტემის განვითარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელება, სოციალური ინოვაციების პოპულარიზაცია, გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებისათვის, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს გავლენის ინვესტორებისა და სოციალური საწარმოების რაოდენობის ზრდასა და თანამშრომლობის გაღრმავებას რეგიონში. ეს კი დაეხმარება სოციალურ საწარმოებს, გააუმჯობესონ თავიანთი სოციალური შედეგები და გაზარდონ სოციალური გავლენა.

საქართველოში პროექტის ამოცანებია:

➢ გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების განვითარება

➢ საქართველოში პირველი გავლენის ფონდის დაფუძნება

➢ მოქმედი სოციალური საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა ფინანსური და გავლენის მაჩვენებლების ზრდის თვალსაზრისით.

➢ დამწყები, ინოვაციური სოციალური საწარმოების გაძლიერების ხელშეწყობა

სოციალური მეწარმეობა:

ბოლო წლებში ევროპასა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სოციალური მეწარმეობა პოპულარული კონცეფცია გახდა. იგი გულისხმობს ბიზნესის არატრადიციული გზით კეთებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სოციალური საწარმოს თავდაპირველი მიზანია კონკრეტული სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება. ბიზნეს საქმიანობა კი წარმოადგენს სოციალური შედეგებისა და გავლენის მიღწევის ერთგვარ დამხმარე ინსტრუმენტს.

დღეისათვის სხვადასხვა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობა განსხვავებული პრაქტიკით გვხვდება და შესაბამისად, სხვადასხვაგვარად განიმარტება. მიუხედავად განსხვავებული

განმარტებებისა, თითოეულ მათგანს ერთმანეთთან აკავშირებს კონცეფციის ძირითადი არსი და ღირებულება, რომელიც გულისხმობს ბიზნეს მიდგომას სოციალური მიზნებისთვის.
პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში გამოცხადებული დამწყები სოციალური მეწარმეობის საგრანტო კონკურსის მიზანია მდგრადი და ინოვაციური სოციალური საწარმოების დაფუძნების ხელშეწყობა საინიციატივო ჯგუფებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით.
რისკების შემცირებისა და მიზნობრივი სოციალური საწარმოების მდგრადობის გაზრდის მიზნით, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი გააგრძელებს შერჩეული სოციალური საწარმოების ტექნიკურ დახმარებას 3 წლის განმავლობაში, საჭირო კონსულტაციისა და სხვა სერვისების მიწოდების გზით.

3. სოციალური საწარმოს შესაძლო როლები და მონაწილეობის უფლება:

საგრანტო კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერის მიღება შეუძლია დამწყებ სოციალურ საწარმოებს, რომლებიც ასრულებენ შემდეგ როლებს:

- დასაქმების ხელშეწყობა;
- სოციალური სერვისების მიწოდება;
- მოწყვლადი რეგიონების/დასახლებული პუნქტების განვითარება;
- სხვა როლები, როგორებიცაა: რეციკლირება, გარემოს დაცვა, სპორტი, ხელოვნება, კულტურა, განათლება, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, მეცნიერება, ინოვაცია და სხვ.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს:

- საქართველოს მასშტაბით მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
- არამომგებიანი (არასამეწარმეო) იურიდიული პირის სტატუსის მქონე დამწყებ სოციალურ საწარმოს;
- საქართველოს მასშტაბით სოციალური მიზნით შექმნილ საინიციატივო ჯგუფებს;

- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სოციალური საწარმოს იდეის ინიციატორი და განმახორციელებელი უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან საინიციატივო ჯგუფის სულ მცირე 2 წევრისაგან შემდგარი გუნდი, რომელთა ასაკი აღემატება 18 წელს.[2]

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:

- სოციალურ საწარმოს, რომელიც ახორციელებს CSRDG-ს სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროექტს;
- სოციალურ საწარმოს, რომელსაც CSRDG-სგან უკვე მიღებული აქვს დაფინანსება სოციალური მეწარმეობის განვითარების პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში და დასრულებული აქვს საგრანტო კონტრაქტი.
- იურიდიულ პირებს (მაგ: შპს..) და ფიზიკურ პირებს, რომლებსაც აქვთ ინდ.მეწარმის, მიკრო ბიზნესის და მცირე ბიზნესის სტატუსი.

4. საგრანტო კონკურსის ეტაპები:

დამწყები სოციალური მეწარმეობის საგრანტო კონკურსი ტარდება **ორ ეტაპად.**

საგრანტო კონკურსის I ეტაპი:

- იდეების კონკურსის გამოცხადება;
- საინფორმაციო შეხვედრები და სემინარები დაინტერესებულ მხარეებთან;
- 7-8 საუკეთესო იდეის შერჩევა;

საგრანტო კომისიის მიერ კონკურსის პირველ ეტაპზე, სოციალური საწარმოს იდეის განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით;

	იდეის განაცხადის შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	შემოთავაზებული სოციალური საწარმოს ბიზნეს მოდელის ხარისხი და მიზანშეწონილობა;	25
2	დამწყები სოციალური საწარმოს იდეის და მისიის პოტენციური სოციალური გავლენა;	40
3	საზოგადოებრივი ორგანიზაციის / საინიციატივო ჯგუფის გამოცდილება და კონტრიბუცია;	25
4	იდეის ინოვაციურობა;	10
ჯამი:		100

* ის განაცხადი რომელიც ვერ დააგროვებს მინიმუმ 70 ქულას, კონკურსში მონაწილეობას ავტომატურად წყვეტს.

[2] კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, საინიციატივო ჯგუფებისათვის სავალდებულო იქნება საზოგადოებრივ ორგანიზაციად დარეგისტრირება.

საგრანტო კონკურსის II ეტაპი:

- ინტენსიური ტრენინგ-პროგრამა სოციალურ და ბიზნეს საკითხებზე;
- ბიზნეს გეგმის შედგენა ექსპერტების დახმარებით;
- საგრანტო კომისიის მიერ 2/3 საუკეთესო ბიზნეს გეგმის დასაფინანსებლად შერჩევა;

ტრენინგ-კურსები შერეული მიდგომით (ონლაინ და საერთო სივრცეში შეხვედრები) ჩატარდება შემდეგ თემებზე[3]:

- სოციალური საწარმოების ბიზნეს დაგეგმარება და მართვა;
- მარკეტინგი და გაყიდვები;
- სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება;
- სოციალური საწარმოებისთვის რესურსების მობილიზება;
- სოციალური საწარმოების იურიდიული საკითხები და სხვა;

საგრანტო კომისიის[4] მიერ კონკურსის მეორე ეტაპზე, სოციალური საწარმოების ბიზნეს გეგმები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით;

	ბიზნეს განაცხადის შეფასების კრიტერიუმი	მაქსიმალური ქულა
1	პროექტის სოციალური შედეგები, ინვესტირებული სახსრების (გრანტების) სოციალური უკუგება;	30
2	სოციალური საწარმოს მოდელის სიცხადე და ბიზნეს გეგმების განხორციელებადობა;	30
3	სოციალური საწარმოს მდგრადობის პოტენციალი;	15
4	განმცხადებლის გამოცდილება და თანამონაწილეობა (ფინანსური და სხვა სახის);	15
5	დამატებითი სოციალური ეფექტი (პროექტი ეკომეგობრულია, გათვალისწინებულია გენდერული საკითხები, ინოვაციურია, ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკას).	10
ჯამი:		100

* ის ბიზნეს გეგმა რომელიც ვერ დააგროვებს მინიმუმ 70 ქულას, კონკურსში მონაწილეობას ავტომატურად წყვეტს.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, დაფინანსებული სოციალური საწარმოების მონიტორინგი განხორციელდება მინიმუმ 3 წლის განმავლობაში.

[3] კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, სავალდებულო იქნება ტრენინგზე გუნდის 2 წარმომადგენლის დასწრება

4 საგრანტო კონკურსის ორივე ეტაპზე პროექტის შეფასებასა და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებელი კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის პარტნიორი ორგანიზაციების, ბიზნესისა და მარკეტინგის სპეციალისტებით.

5. კონკურსის ფინანსური საკითხები და დასაშვები ხარჯები.

დამწყები სოციალური საწარმოს განხორციელებისათვის მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 15 000 ევროს.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღებისათვის სავალდებულოა მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების მინიმუმ **10%-იანი** ფინანსური თანამონაწილეობა.

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართულია შემდეგი მიზნებისთვის და საქმიანობებისთვის:

- კაპიტალური აქტივების შეძენა (საწარმოო დანადგარები, საოფისე მოწყობილობები, ტექნიკა და ა.შ.);
- მასალა/ნედლეულის შეძენა;
- მარკეტინგული ღონისძიებები და საპოპულარიზაციო მასალების დამზადება;
- ხელფასის და ჰონორარის გაცემა იმ მოწვეულ სპეციალისტებზე (ბუღალტრის მომსახურება, ტრენერები, ბენეფიციარების ანაზღაურება და ა.შ.), რომელთა ექსპერტული მხარდაჭერაც აუცილებელია საწარმოს გამართული ფუნქციონირებისათვის, მოთხოვნილი საგრანტო თანხის არაუმეტეს 25%-სა.
- ონლაინ საქმიანობის მექანიზმების დანერგვისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა (ტელეფონები, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა, ონლაინ კონფერენციების სერვისების გამოწერა და სხვა.);
- სოციალური საწარმოს ონლაინ რესურსებისა და ციფრული ქსელების მხარდაჭერა;

გამონაკლის შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებისას შესაძლებელია დაფინანსდეს:

- სარემონტო სამუშაოები, საგრანტო თანხის არაუმეტეს 20%;
- ფართის იჯარა, საგრანტო თანხის არაუმეტეს 20%;

საგრანტო თანხის ხარჯვა ნებადართული არ არის შემდეგი მიზნებისთვის;

- საწარმოს მენეჯმენტის ხელფასის გაცემა;
- უძრავი ქონების შესყიდვა/აშენება;
- პოლიტიკური კამპანიების და საქმიანობების განხორციელება;
- საერთაშორისო მგზავრობა;
- ჰუმანიტარული აქტივობები;

დაბეგვრა:

მიღებული გრანტით დღგ-ს თანხა არ ანაზღაურდება. შესაბამისად, თუ გრანტით მიღებული თანხა დაიხარჯა დღგ-ზე, გრანტის მიმღებმა ორგანიზაციამ იგი დადგენილი წესით უნდა გამოითხოვოს (დაიბრუნოს) შემოსავლების სამსახურიდან. პროექტის ხარჯების საბოლოო ანგარიში CSRDG-ის უნდა ჩაბარდეს დღგ-ს გარეშე.

CSRDG არ ანაზღაურებს კონკურსში მონაწილის მიერ საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარმოდგენისათვის გაწეულ ხარჯებს, მიუხედავად იმისა, შეირჩევა თუ არა მისი განაცხადი.

6. სოციალური საწარმოს იდეის განაცხადის წარდგენა და მნიშვნელოვანი თარიღები

კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტები:

- თანდართული განაცხადის ფორმა;
- ორგანიზაციის ხელმოწერილი წესდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- პროექტში მონაწილე პირთა პროფესიული რეზიუმეები ქართულ ენაზე;

სოციალური საწარმოს განაცხადის ფორმის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, ელ. ფოსტის საშუალებით, მისამართზე: social.enterprise.ge@gmail.com

გთხოვთ განაცხადის გამოგზავნისას სათაურში მიუთითეთ: დამწყების სოციალური საწარმოს იდეის განაცხადი;

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა: **2024 წლის 20 მაისი, 18:00 სთ.**

განაცხადის წარდგენა უნდა მოხდეს თანდართული ფორმის შესაბამისად. არასრულად, ან განსხვავებული ფორმით შევსებული და დაგვიანებული განაცხადები არ განიხილება.

კონკურსის მნიშვნელოვანი თარიღები:

ღონისძიება	**თარიღი**
დამწყები სოციალური საწარმოს საგრანტო კონკურსის გამოცხადება	18.04.2024
საგრანტო კონკურსის შესახებ შეკითხვების ელექტრონულად გაგზავნის ბოლო ვადა	02.05.2024
სემინარი და საკონსულტაციო შეხვედრები	24.04.2024 08.05.2024
დამწყები სოციალური საწარმოს საგრანტო კონკურსში განაცხადის მიღების ბოლო ვადა	20.05.2024
ინტენსიური ტრენინგ-პროგრამის პერიოდი	ივნისი-ივლისი
დამწყები სოციალური საწარმოს სრული ბიზნეს განაცხადის მიღების ბოლო ვადა	26.07.2024
კონტრაქტების გაფორმება გამარჯვებულ ორგანიზაციებთან	08-09.2024

დამატებითი ინფორმაცია:

დაინტერესებულ პირებთან საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდება ონლაინ, Zoom- პლატფორმის გამოყენებით 24 აპრილს და 8 მაისს 11:00 საათზე.
შეხვედრაზე რეგისტრაციის ლინკის მისაღებად დააჭირეთ **აქ.**

საგრანტო კონკურსის მიმდინარეობის პროცესში საქართველო სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG) გამართავს პირისპირ საინფორმაციო შეხვედრებს. შეხვედრის თარიღები გავრცელდება CSRDG-ს სოციალური მედიის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი,
იოველ ჯეგაშილის I გასასვლელი #5, თბილისი.

ონლაინ კონსულტაციისთვის შეგიძლიათ დაჯავშნოთ კონსულტაცია ჩვენს გუნდთან ბმულზე.

საკონტაქტო პირები:
ანა (ეკატერინე) ილურიძე
ქრისტინე კანდელაკი
ნინო გელაშვილი
ელ-ფოსტა: social.enterprise.ge@gmail.com; ekaterine.iluridze@csrdg.ge; kristine.kandelaki@csrdg.ge; nino.gelashvili@csrdg.ge

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის, პური მსოფლიოსთვისა და Impact Europe-ის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ფინანსური მხარდამჭერების შეხედულებებს.